მეთოდური რეკომენდაცია დამწყებთათვის

# აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები

# სარჩევი


შესავალი……2

რა არის პლაგიატი?……3

თვითპლაგიატი? ……4

პლაგიატის მაგალითები……6

რა შეიძლება იყოს პლაგიატის მიზეზი?……7

რატომ არ უნდა ჩავიდინო პლაგიატი?……8

აკადემიური კეთილსინდისიერების დადებითი ასპექტები .....9

როგორ ავარიდო თავი პლაგიატს?……11

პლაგიატი და კოლიზია……13

ფალსიფიკაცია და ფაბრიკაცია……14

ზოგადი ცოდნის საფუძვლები……15

რა უნდა ვიცოდე დამატებით?……17

დასკვნები……18

დასაშვები და დაუშვებელი……19

ტერმინთა განმარტება……20

ბიბლიოგრაფია……21

# შესავალი

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები ირღვევა როდესაც სტუდენტი (დამოუკიდებლად ან სხვასთან ერთად) უსამართლო და შეუფერებელი ქმედებით ცდილობს მოიპოვოს უპირატესობა.

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა განათლების სფეროში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რაც ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ცნობიერების დაბალი დონით არის განპირობებული.

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების ყველა სახის (მიზანმიმართული ან შემთხვევითი) დარღვევა თაღლითობის სპეციფიკურ ფორმად განიხილება, რომელიც განსაკუთრებით ხშირია სტუდენტის მიერ დავალების (მაგალითად, ესსეს, მოხსენების, პრეზენტაციის ან თეზისის) დამოუკიდებლად შესრულების შემთხვევაში.

კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის ყველა შესაძლო მიზეზისა და ფორმის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ინფორმირებულობა.

წარმოდგენილი მეთოდური რეკომენდაციის მიზანია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობა და ასევე ეთიკური წერისა და საავტორო უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

საიფ ტაფეექ, ავტორი და რედაქტორი
სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის სამსახურის კოორდინატორი

მაისი, 2019
1ლი გამოცემა

# რა არის პლაგიატი?

პლაგიატი არის სხვისი აზრების და იდეების მისაკუთრება. ეს არის თაღლითობის სპეციფიკური ფორმა, რაც ავტორთან შეთანხმების გარეშე მისი იდეებისა და ნაშრომის მითვისებას გულისხმობს. პლაგიატი შეიძლება განპირობებული იყოს დავალებების შესრულების წესის უცოდინარობით ან დავალების მოკლე ვადაში შესრულების მცდელობით.

ის შემთხვევაც, თუ პლაგიატის ჩადენა არ გაქვთ განზრახული, მაგრამ ავტორის მითითების გარეშე სხვის ნაშრომს გამოიყენებთ, თაღლითობად იქნება აღქმული. შესაბამისად, წარმოდგენილი მეთოდური რეკომენდაცია მიზნად ისახავს თქვენს დახმარებასა და ინფორმირებულობას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ.

# თვითპლაგიატი?




თვითპლაგიატი არის საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული ტექსტის, ნაშრომის ან კვლევის შედეგების ხელახალი გამოქვეყნების მცდელობა.

საკუთარი სიტყვების ხელახალი გამოყენება უკვე გამოქვეყნებული ნაშრომის ციტირებისა და განხილვის გარეშე აკადემიურ პრობლემას წარმოადგენს. ასეთი შემთხვევა ორმაგ პუბლიკაციად შეიძლება ჩაითვალოს.

შემთხვევა, როდესაც ნაშრომი შეიცავს ავტორის საკუთარ, მაგრამ არაციტირებულ ინფორმაციას, ავტორის მიერ ახალი მონაცემების პრეზენტაციად განიხილება, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

საკუთარი პუბლიკაციების საავტორო უფლებები გასათვალისწინებელ მომენტს წარმოადგენს. საავტორო უფლებების დარღვევა არაკეთილსინდისიერ ქმედებად განიხილება. თუკი თქვენი სტატია ძლიერ მიმსგავსებულია თქვენს უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომთან, გამომცემელის წესების თანახმად ის შეიძლება დაიბლოკოს. ამდენად, რეკომენდებულია გამომცემლის მეთოდური რეკომენდაციებისა და პლაგიატის საკითხებზე წესების წინასწარი გაეცნობა.

# პლაგიატის მაგალითები




- სხვისი ნაშრომის კოპირება და საკუთარ ნაშრომად წარდგენა.
- ნებისმიერი წყაროდან (ინტერნეტი, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები) მასალის კოპირება ავტორის მითითების გარეშე.
- სხვა ავტორის სიტყვებისა და წინადადებების გადაწყობა, ან სხვადასხვა წყაროდან წინადადებების გამოყენება და გაერთიანება საკუთარ ნაშრომად წარდგენის მიზნით.
- სხვისი იდეის, ფაქტების, გრაფიკების, ცხრილების ან კოდების გამოყენება ავტორის მითითების გარეშე.
- საკუთარი ნაშრომის შეფასების მიღების მიზნით სხვისთვის გადაცემა.

# რა შეიძლება იყოს პლაგიატის მიზეზი?

**რატომ ჩადიან სტუდენტები პლაგიატს?**

**არსებობს მრავალი მიზეზი, თუ რატომ ჩადიან სტუდენტები პლაგიატს, მაგალითად:**

1. როდესაც სტუდენტს ბოლომდე არ აქვს გათვითცნობიერებული პლაგიატის არსი.
2. როდესაც სტუდენტს ბოლომდე არ აქვს გათვითცნობიერებული აკადემიური წერის სტანდარტები და მოთხოვნები.
3. მოკლე ვადაში ან სხვა მიზეზით დავალების შესრულებისადმი გაიოლებული დამოკიდებულება.
4. გარანტირებული წარმატებისათვის და შემფასებლის უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით.
5. დიდი მოცულობით მისაწვდომი ინფორმაციის პირობებში სტუდენტის მხრიდან დავალების შესრულებისადმი გამარტივებული მიდგომა, რაც გულისხმობს ელექტრონული დოკუმენტებიდან ან ვებ-გვერდებიდან ტექსტის კოპირებას.
6. სტუდენტს არ აქვს გათვითცნობიერებული პერაფრაზის წესები.
7. სტუდენტი ცდილობს მიიღოს კრედიტები სასწავლო კურსის ფარგლებში დავალების შესრულების გარეშე.

# რატომ არ უნდა ჩავიდინო პლაგიატი?

1. დავალების არშესრულება აზიანებს განათლებას (თქვენ თაღლითობთ საკუთარ თავთან).
2. ავტორის მითითების გარეშე ნაშრომის გამოყენება არაკეთილსინდისიერ ქმედებას წარმოადგენს (თქვენ თაღლითობთ სხვებთან).
3. შესაძლოა საფრთხე შეექმნას განათლების პროცესს და დასაქმებას (ვის სჭირდება არაკეთილსინდისიერი სტუდენტი ან დასაქმებული?).
4. ვერ მოხდება სამუშაოს მისაღებად და შესანარჩუნებლად აუცილებელი უნარების განვითარება.
5. იზღუდება კრეატიული და „ჩარჩოების“ მიღმა აზროვნება.

# აკადემიური კეთილსინდისიერების დადებითი ასპექტები




- **საკუთარი ნაშრომით სიამაყის განცდა**

სტუდენტს უნდა შეეძლოს იამაყოს საკუთარი საქმიანობით და მიღწევებით. სასიამოვნოა იმის განცდა, რომ: თქვენ განგივითარდათ წერის უნარი, თქვენ გეკუთვნით წარდგენილი ნაშრომი, სათანადოდ აღიარებული გაქვთ ყველა წყარო, და მიღებული შეფასებები მხოლოდ თქვენს ძალისხმევას ასახავს.

- **მიღწევის რეალური დონის განსაზღვრა**

შესაძლოა კონკრეტული პიროვნება აკადემიური პერსონალისათვის შეუმჩნევლად ჩადიოდეს პლაგიატს. ისწავლის ის ამ შემთხვევაში რამეს? სათუოა. სტუდენტის მიღწევის დონის მის რეალურ შესაძლებლობებთან შაუსაბამობა დასაქმების მომენტში გამოაშკარავდება, რაც სამსახურიდან განთავისუფლებისა და კარიერის დასრულების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

## ➢ სწავლება

სწავლება შეუძლებელია სავალდებულო სამუშაოს შესრულების გარეშე. დავალებების შესრულება შესანიშნავი შესაძლებლობაა ისწავლოთ კონკრეტული საკითხები და წარუდგინოთ თქვენი ცოდნა სხვებს.



# როგორ ავარიდო თავი პლაგიატს?

ერთ-ერთი საშუალებაა საკუთარი აზრის ჩამოყალიბება სხვა წყაროების გამოყენების გარეშე. ეს არ არის კარგი იდეა, ვინაიდან თქვენ ბევრ რამეს სწავლობთ როდესაც ეცნობით სხვა ავტორების იდეებს, გამოგონებებს, კონსტუქციებს ან ნაშრომებს. დავალების შესრულებისას პლაგიატის თავიდან აცილების საუკეთესო სტრატეგიებია:

- **წყაროების სიფრთხილით და პატივისცემით გამოყენება**

  - ✓ ჩაინიშნეთ მიღებული ინფორმაციის წყარო;
  - ✓ თითოეული დავალების შესრულებისას თვალყური ადევნეთ გამოყენებულ წყაროებს;
  - ✓ განახორციელეთ ნაშრომში გამოყენებული მასალის ციტირება ავტორისა და მისი მონაცემების/მოსაზრებების განსაზღვრის მიზნით. ნაშრომში წყაროების ციტირებით თქვენ წარმოადგენთ საბაზო ინფორმაციას უკვე განხორციელებული კვლევების შესახებ, ახდენთ საკუთარი იდეებისა და მოსაზრებების ილუსტრაციას და შერჩეულ საკითხთან მიმართებით თქვენი კვლევის შესაბამისობის დემონსტრირებას.
  - ✓ მიუთითეთ გამოყენებული წყაროები ბიბლიოგრაფიაში.
  - ✓ აღიარეთ და მოახდინეთ მიღებული დახმარების ციტირება.

- **თქვენი აკადემიური და პიროვნული შესაძლებლობების განვითარება**

- ✓ ყურადღებით დაგეგმეთ და გაანაწილეთ დრო, დაიცავით თადარიგი, რათა გქონდეთ საკმარისი დრო დავალების შესასრულებლად.
- ✓ დაესწარით კურსებს წერისა და ბიბლიოგრაფიული უნარების გასაუმჯობესებლად.
- ✓ ითხოვეთ დახმარება (ლექტორისგან, ბიბლიოთეკისაგან, სამეცნიერო-კვლევითი ან დოქტორანტურის სამსახურისგან) თუკი არ ხართ დარწმუნებული თქვენს ქმედებებში.

## ➢ დაიცავით უსაფრთხოების ზომები

- ✓ არ დატოვოთ უყურადღებოდ დასრულებული ნაშრომი.

- ✓ ისაუბრეთ და ისწავლეთ თქვენს კურსელებთან ერთად, მაგრამ არ მისცეთ სხვებს თქვენი ნაშრომის დაკოპირების საშუალება. შემდგომში რთული იქნება ნაშრომის ავტორობის დამტკიცება.
- ✓ ნუ იზარმაცებთ. შეასრულეთ თქვენი დავალება!

## ➢ ბიბლიოგრაფია!

- ✓ პლაგიატის თავიდან აცილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა გამოყენებული წყაროების ჩამონათვალის, ბიბლიოგრაფიის, მომზადება.

# პლაგიატი და კოლიზია

კოლიზია არის სიტუაცია, როდესაც რამოდენიმე სტუდენტი ერთად ასრულებდა დავალებას, თუმცა საბოლოოდ ის მხოლოდ ერთი სტუდენტის ნამუშევრად არის წარმოდგენილი. ინდივიდუალურად შესაფასებელი სამუშაო მისი წარმდგენი სტუდენტის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

დაუშვებელია სხვა სტუდენტებთან ერთად ინდივიდუალური შეფასებისათვის წარსადგენი ნაშრომის შესრულება.

ასევე დაუშვებელია მიმდინარე დავალების, კვლევის ანგარიშების, ან დოკუმენტების სამუშაო ვერსიების ერთობლივი შესრულება, ვინაიდან შესაძლოა აღინიშნოს მსგავსება დასრულებულ ვარიანტსა და სხვა სტუდენტების მიერ წარდგენილ ნაშრომებს შორის.

მისასალმებელი და სასურველია მასალებისა და იდეების განხილვა კოლეგებთან. თუმცა, შეფასებისათვის განკუთვნილი დავალების წერისას დასაწყისშივე გაიაზრეთ, რომ ეს არის თქვენი საკუთარი ნამუშევარი და არ გაუზიაროთ ის სხვა სტუდენტებს.

კოლიზია განსხვავდება ჯგუფური ნამუშევრისაგან. ამ უკანასკნელის დროს სტუდენტებს უნივერსიტეტის მიერ მიეწოდებათ ინსტრუქცია ჯგუფური მუშაობის შესახებ და მათი ნაშრომი შეფასდება როგორც ჯგუფური.

# ფალსიფიკაცია და ფაბრიკაცია

**ფალსიფიკაცია:**

ფალსიფიკაცია არის კვლევის შედეგების (მონაცემების) შეცვლა ან უგულებელყოფა სხვა მოსაზრებების, ჰიპოთეზების და ა.შ. მხარდასაჭერად. ფალსიფიკაცია შეიძლება გულისხმობდეს კვლევის მეთოდებით, მასალებით ან პროცედურებით მანიპულირებას. სურათებით მანიპულაცია ან ვარაუდების გამოთქმის გზით მონაცემების დამახინჯება ასევე ჩაითვლება ფალსიფიკაციად.

**ფაბრიკაცია:**

მონაცემების შეგროვების თუ ექსპერიმენტის მსვლელობისას არრასებულ მონაცემებზე დაყრდნობით კვლევის შედეგების ან მეთოდის განზრახ არასწორი წარდგენა წარმოადგენს ფაბრიკაციას. მაგალითად, ფაბრიკაცია არის განუხორციელებლი ექსპერიმენტის გამოქვეყნება, ექსპერიმენტისთვის ყალბი შედეგების დამატება, ან არასასურველი შედეგის მოცილება.

# ზოგადი ცოდნის საფუძვლები

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოყენებული იდეებისა და ფაქტების ავტორები სათანადო ციტირებას საჭიროებენ. გამონაკლისს იმ იდეების განხილვა წარმოადგენს, რომლებიც „ზოგად ცოდნად“ არის მიჩნეული. ამდენად, თუკი განხილული ფაქტები და მონაცემები აუდიტორიისათვის „ცნობილად“ განისაზღვრება, ციტირება საჭირო არ არის.

ზოგადი ცოდნა განიმარტება როგორც „ინფორმაცია, რომელსაც განათლებული მკითხველი გადამოწმების გარეშე სარწმუნოდ აღიქვამს“.

შესაბამისად, ინფორმაცია შეიძლება ჩაითვალოს „ზოგად ცოდნად“, თუ:

- ის გასაგები და ცნობილია განათლებული მკითხველისათვის;
- ის არ არის ურთიერთგამომრიცხავი და შეიძლება ფაქტად იყოს აღქმული.

ფრაზა „1 მილი = 1.6 კილომეტრს“ შეიძლება მოხსენიებული იყოს ციტირების გარეშე. ის ყველასთვის გასაგებია და არ არის ურთიერთგამომრიცხავი.

**იმისათვის რომ განსაზღვროთ არის თუ არა ინფორმაცია ზოგადი ცოდნა, დაუსვით საკუთარ თავს შემდეგი კითხვები:**

- **ვინ არის ჩემი მკითხველი და რა შეიძლება მან იცოდეს?**

  თქვენი ნაშრომი განკუთვნილია ზოგადი აუდიტორიისათვის თუ დარგის ექსპერტებისათვის? აკადემიური წერისას უფრო სავარაუდოა, რომ თქვენი მკითხველი იქნება ექსპერტი. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ გაზიარებული ინფორმაციის გარკვეული დონე. მაგრამ თუკი თქვენი ინფორმაცია სხვადასხვა სფეროს ეკუთვნის, ციტირება აუცილებელია.

- **შეუძლია ჩემს მკითხველს შეკამათება აღნიშნულ საკითხზე?**

  თუკი მკითხველი გაკვირვებულია თქვენი ნაშრომით, სვამს კითხვებს მისი სიზუსტის, შინაარსის ან სხვა მონაცემების შესახებ, ეს არ არის „ზოგადი ცოდნა“ და თქვენ უნდა განახორციელოთ ციტირება. თუკი ეს არის ფაქტი, რომელსაც კონკრეტული სფეროს ყველა წარმომადგენელი ეთანხმება, დიდი ალბათობით ეს არის ზოგადი ცოდნა.

- **შეუძლია თუ არა ჩემს მკითხველს სხვადასხვა გზით ადვილად გადაამოწმოს მონაცემი?**

  შეგიძლიათ Google-ის საძიებო სისტემის გამოყენებით მარტივად მოძებნოთ ხუთზე მეტი სარწმუნო წყარო იმავე ინფორმაციით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, სავარაუდოდ, ეს არის ზოგადი ცოდნა. თუკი კვლევის ზოგიერთი შედეგი ურთიერთგამომრიცხავია, ან თქვენ დიდი ძალისხმევა გჭირდებათ ფაქტების მოსაძიებლად, მაშინ აუცილებელია ციტირება.

**მაგალითად:**

ასპერგერის სინდრომის სიმპტომები ციტირებული უნდა იყოს არასამედიცინო წერით ჯგუფში, მაგრამ შეიძლება ციტირების გარეშე იყოს მოხსენებული მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან.

# რა უნდა ვიცოდე დამატებით?

- **არსებული გადაწყვეტილებების გამოყენება თქვენი წყაროების მართვისათვის.**

  ბიბლიოგრაფიის ორგანიზატორი - Mendeley, მისაწვდომია თბილისის სამედიცინო აკადემიის ბიბლიოთეკის კომპიუტერებზე. Mendeley ეს არის აპლიკაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის გასაფორმებლად. აღნიშნული აპლიკაციის გამოყენებით შესაძლებელია პერსონალური ბიბლიოთეკის, ანოტირებული (კომენტარის მქონე) და ციტირებული დოკუმენტების ორგანიზება.

- **პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა**

  პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა "Strikeplagiarism" ინსტალირებულია თბილისის სამედიცინო აკადემიის ბიბლიოთეკის კომპიუტერებზე. ეს არის პროგრამა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება წარდგენამდე.

- **სანქციები**

  სამწუხაროდ, ზოგჯერ თავს იჩენს პლაგიარიზმი. თსა-მ შეიმუშავა სანქციები სტუდენტების მიმართ, რომლებიც ჩადიან პლაგიატს. შესაბამისი რეგულაციები და პროცედურები გამოიყენება პლაგიატის აღმოსაჩენად, მისი დადასტურების შემთხვევაში სიმძიმის შესაბამისად სხვადასხვა სანქციები გამოიყენება.

# დასკვნები

ვიმედოვნებთ, ეს მოკლე ბუკლეტი დაგეხმარათ იმის გარკვევაში თუ რა არის პლაგიატი და როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება. ჩვენ წარმოგიდგინეთ თუ როგორ ხდებიან სტუდენტები გაუთვითცნოებიერებლად პლაგიატის ავტორები  და განვსაზღვრეთ რამოდენიმე სტრატეგია, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება თავიდან აიცილოთ პლაგიატი. აკადემიური წერის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა დრო და პრაქტიკა. ეს ხანგრძლივი პროცესი უნდა წარიმართოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.

აკადემიური კეთილსინდისიერება მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების მიერ კვლევაში შეტანილი წვლილისა და მათი შედეგების აღიარებისთვის. უფრო მეტიც ეს მათი საქმიანობისადმი პატივისცემის გამოხატვაა. თქვენ არ შეგყავთ მკითხველი შეცდომაში და აღიარებთ, რომ ნაშრომი თქვენ არ გეკუთვნით.

თუკი კვლავაც ორჭოფობთ -  სთხოვეთ თქვენს ლექტორს დავალების შეფასება წარდგენამდე. თუკი თქვენ მიჰყვებით რჩევებს და ითხოვთ ხელმძღვანელობას როცა ეს გჭირდებათ, თქვენ შეძლებთ აკადემიური სტანდარტების, თქვენი დახარჯული დროისა და ძალისხმევის შესაბამისი ნაშრომის მოამზადებას.

**“გენიოსის პრინციპული თვისებაა არა სრულყოფილება, არამედ ორიგინალურობა, რომელიც ახალი საზღვრების საწყისია.”**

# დასაშვები და დაუშვებელი

**გამოიყენეთ აღნიშნული ჩამონათვალი ესსეს მომზადების შემდეგ და წარდგენამდე!**

| დასაშვები | დაუშვებელი |
|---|---|
| - აკადემიური არაკეთილსინდისიერების სხვადასხვა ფორმის ცოდნა. | - სათანადო ციტირების თავიდან აცილება; სადაც საჭიროა ყველგან და ყოველთვის განახორციელეთ ციტირება. |
| - ყველა გამოყენებული წყაროს სათანადო ციტირება შესაბამისი სტილის (APA, MLA, etc.) გამოყენებით, პერიფრაზირებისას ავტორის იდეები შეჯამებული უნდა იყოს თქვენი სიტყვებით. | - ნუ შეცვლით შედეგებს თქვენს კვლევაში ჰიპოთეზის გასამყარებლად. |
| - შეატყობინეთ მენტორს შესაძლო არაკეთილსინდისიერი აკადემიური ქმედების შესახებ. | - ჯგუფური დისკუსიის დროს ნუ წარმოადგენთ სხვის იდეებს ციტირების გარეშე. |
| - ესაუბრეთ თქვენს მენტორს აკადემიური კეთილსინდისიერების იმ ასპექტზე, რომელშიც არ ხართ დარწმუნებული (მაგალითად, ციტირება, თაღლითობა, წყაროები); მენტორი მოხარული იქნება უპასუხოს თქვენს კითხვებს. | - ნუ მიიღებთ სხვის შემოთავაზებას ერთად შეასრულოთ დამოუკიდებელი სამუშაო, თუკი ეს თქვენთვის უხერხულია. |
| - წინდაწინ დაიწყეთ დავალებების შესრულება. | - ნუ გამოიყენებთ სხვა ჯგუფების ესსეს და ნაშრომებს თქვენი მენტორის ნებართვის გარეშე. |
| - გამოიყენეთ თქვენი შესაძლებლობები და განავითარეთ საკუთარი სტილი. | - ნუ იმუშავებთ მქოლოდ ქულისთვის, იმუშავეთ რეალური ცოდნისათვის. |

# ტერმინთა განმარტება

- **ციტატა:**

ინფორმაციული წყაროს ან წყაროების ფორმალური აღიარება ნაშრომში.

- **ციტირება:**

ციტირების აქტი - წყაროდან აღებული და თქვენს ტექსტში გამოყენებული სიტყვა ან ფრაზა. ციტატის წყარო ყოველთვის იქვე უნდა იყოს მითითებული.

- **ბიბლიოგრაფია:**

ნაშრომის მომზადებისას გამოყენებული ყველა წყაროს (მაგალითად, წიგნების, სტატიების, ონლაინ რესურსების და სხვა) ჩამონათვალი.

- **წყარო:**

გამოცემის, რესურსის დეტალური აღწერა, საიდანაც მიიღეთ კონკრეტული ინფორმაცია.

# ბიბლიოგრაფია


- https://www.stir.ac.uk/media/stirling/services/academic-registry/documents/book-of-plagiarism.pdf
- https://www.polyu.edu.hk/ogur/academic_integrity/Plagiarism_Booklet.pdf
- https://www.hec.gov.pk/english/services/faculty/Documents/Plagiarism/Little%20Book%20of%20Plagiarism.pdf
- https://www.plagiarismtoday.com/2018/12/04/understanding-common-knowledge/
- https://www.scribbr.com/plagiarism/common-knowledge/
- https://academicintegrity.unimelb.edu.au/forms-of-plagiarism/collusion
- https://www.aje.com/arc/self-plagiarism-how-to-define-it-and-why-to-avoid-it/
- https://www.e-education.psu.edu/bioet533/node/654

**მისამართი:** საქართველო, თბილისი. 0144,

ქეთევან წამებულის გამზირი, 51/2

**ელ-ფოსტა:** tma@tma.edu.ge

**ტელ:** (+995 32) 2912484